საპროექტო ობიექტის აღწერა და რეკომენდაცია

გ. ახვლედიანის ქ. №18/5



საპროექტო სახლი გ. ახვლედიანის ქუჩაზე №18

საპროექტო ღიობები

შემსრულებელი
ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი

შ პ ს
„ძველი უბანი“
აპრილი
2013

1. ადგილმდებარეობა

წარმოდგენილია საპროექტო წინადადება, რომელიც ითვალისწინებს თბილისის ისტორიული ნაწილის უბან ვერეზე (ძველი თბილისის გამგეობა) **გ. ახვლედიანის ქუჩის №18 სამსართულიან სახლის პირველ სართულზე ვიტრინის ღიობის და კარის მოდიფიცირებას, ერთი საფეხურით ტროტურისკენ. საპროექტო სახლი წარმოადგენს არქიტექტურულ ძეგლს.**

ამ მიკროუბანში არქიტექტურული ძეგლებია ნაგებობები განსახილველი სახლის გვერდით და მოპირდაპირე მხარეს **გ. ახვლედიანის** და **ვაშლოვანის** ქუჩებზე. ასევე მოშორებით წმ. ანდრია პირველწოდებულის ლურჯი მონასტერი და წმ. იოანე ღვთისმეტყველის რუსული ეკლესია. **ქვემოთ მოცემულ ძეგლების გეგმაზე ძეგლები აღნიშნულია წითელი ფერით. ეკლესიები და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები კი მუქი ყავისფრით.**



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკომენდაციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო

ირგვლივ არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:

საცხოვრებელი სახლები – გ. ახვლედიანის ქ.. №№12,14,17,19,20,21,23;
საცხოვრებელი სახლები – ვაშლოვანის ქ.№№3,6;
წმ. ანდრია პირველწოდებულის ლურჯი მონასტერი – ქიაჩელის ქ.№25
წმ. იოანე ღვთისმეტყველის რუსული ეკლესია. – ქიაჩელის ქ.№21

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.

2. განაშენიანების განვითარება

უბანი საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ დაუსახლებელი იყო XIX ს-ის მეორე ნახევრამდე და ვიწრო ქუჩების ქსელი აქ ჩამოყალიბდა XIX ს-ის ბოლოს, ოდნავ დამრეც ვაკეზე. აქ ვერეს მოედნიდან მიემართებოდა **გზა ლურჯი მონასტრისკენ,** რომელზეც დაიკვალა **ქიაჩელის ქუჩა.** თავდაპირველად მას **ყორღანოვის ქუჩა** ეწოდებოდა. იქვე ფერდობზე ლურჯი მონასტრის ირგვლივ მდებარეობდა ვერეს სასაფლაო. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა **გ. ახვლედიანის ქუჩა,** რომელსაც თავდაპირველად **ანასტასიევის ქუჩა** ეწოდებოდა, შემდეგ **პეროვსკაიას ქუჩა. გ. ახვლედიანის** სახელი ქუჩას 1990-იან წლებში დაერქვა.

ნაგებობათა უმრავლესობა ამ უბანში XIX-XX ს-ის მიჯნაზე აშენდა. თავდაპირველად აქ იდგა ერთსართულიანი მარტივი ტიპის საცხოვრებელი სახლები, რომელთა ადგილს XIX ს-ის ბოლოს იკავებს ორ, იშვიათად სამსართულიანი სახლები მეტ-ნაკლებად ხარისხიანი არქიტექტურული ფასადებით. მსხვილმასშტაბიანი საცხოვრებელი სახლები ნ. ნიკოლაძის ქუჩაზე აშენდა 1950-60-იან წლებში.

აგურით ნაგები საცხოვრებელი სახლი, რომელზეც უნდა განხორციელდეს ცვლილება აგებულია 1911 წელს.

2. საპროექტო ადგილი და ნაგებობა



საპროექტო სახლი №18 ეზოს მხრიდან ძეგლის სააღრიცხვო ბარათი

სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი №18/5 დგას გ. ახვლედიანის ქუჩის პერიმეტრზე, გ. ახვლედიანის და ვაშლოვანის ქუჩების კუთხეში. სახლი Г-ს ფორმის გეგმარებისაა და უკანა მხარეს შემოიზღუდავს შიდა ეზოს. მარჯვენა გვერდითი ფასადით გ. ახვლედიანის ქუჩაზე ებჯინება არქიტექტურულ ძეგლად აღნუსხულ სამსართულიან სახლს №20-ს. ორთავე ფასადი, გ. ახვლედიანის და ვაშლოვანის ქუჩებიდან მთავარია და მსგავსი მხატვრულ არქიტექტურული ხერხით არის გადაწყვეტილი. სახლის წიბო ქუჩების კუთხეზე წაკვეთილია.

ეზოში შესასვლელი გვირაბი ვაშლოვანის ქუჩიდან არის. ეზოში თავდაპირველად იყო ხის შემინულ გალერეა-აივნები, რომელთა ნაწილი ამჟამად ამოშენებულია. მარცხენა ფლანგზე ზედა სართულებზე ასასვლელი ხის საფეხურებიანი კიბეა.

ᲡᲐᲞᲠᲝᲔᲥᲢᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ №18/5 Გ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲓᲐᲜ

სამსართულიანი ფასადი გ. ახვლედიანის ქუჩის მხრიდან კი შემდეგნაირადაა დაპროექტებული: სახლი დგას საშუალო სიმაღლის ცოკოლზე, რომლის მარჯვენა ფლანგი მოგვიანებით სახეშეცვლილია. ცოკოლში ტროტუარისკენ დატანილია სარდაფის მართკუთხა ღიობები. ფასადი თავდაპირველად სიმეტრიულად იყო განაწილებული, ცენტრში თხელი მართკუთხა რიზალიტით და სამ-სამი ღიობით მარცხენა და მარჯვენა ფლანგებზე. პირველი სართული მსხვილად არის რუსტირებული. ვიწრო და მაღალი სადარბაზო კარი დატანილი იყო პირველი სართულის მარჯვენა ფლანგის კუთხეში. მოგვიანებით მარჯვენა ფლანგის ერთ-ერთი სარკმელი ჩაიჭრა და მოეწყო შესასვლელი ოთხსაფეხურიანი კიბით ტროტუარიდან. ასევე დაგრძელდა მომდევნო სარკმელი და გადაკეთდა ვიტრინად. ამ ფლანგზე მთლიანად მოიხსნა რუსტირება და განსხვავებულად დაფერეს.

ზედა ორი სართულის ფასადი თავდაპირველი სახით არის შემორჩენილი. იგი მორთულია კაპიტელებიანი ბრტყელი პილასტრებით. პილასტრთა შორის მოქცეულია ნალესობით მოჩარჩოებული თაღოვანი სარკმლები მეორე სართულზე და მართკუთხა სარკმლები, რაფების ძირზე დატანილი ნალესი ფორმებით – მესამეზე. სართულები ერთმანეთისგან გამოყოფილია საფეხუროვანი ლავგარდანებით, რომელთაც ძირზე დაუყვება წნულორნამენტიანი ფრიზები. ზევით სრულდება ასევე საფეხუროვანი თხელი ლავგარდანით და კბილანებიანი ფრიზით. ცენტრალური რიზალიტი ცალკეა გამოყოფილი და გვირგვინდება მაღალი, საფეხუროვანი პარაპეტით.

მეორე და მესამე სართულზე ჭვირულმოაჯირიანი ლითონის კიდული აივნებია, ფასადის წაკვეთილ კუთხეზე.

დასკვნა და რეკომენდაციები

გ. ახვლედიანის ქუჩაზე არსებული ნაგებობების უმრავლესობა საცხოვრებელ სახლებს წარმოადგენდა და თავდაპირველად მათი ცოკოლის ან პირველი სართულები საცხოვრებელი იყო. უკანასკნელ ათწლეულებში კი დაიწყო ამ სახლების პირველი სართულების კომერციალიზაცია და მათი სახე თანდათან შეიცვალა – ქვედა სართულებში გაჩნდა კაფე-რესტორნები და სხვა კომერციული დანიშნულების მოცულობები.

თავდაპირველი არქიტექტურული სახე ნაწილობრივ დაკარგული აქვს ჩვენთვის საინტერესო საპროექტო სახლსაც. შეცვლილია საფასადო სახე პირველი სართულის მარჯვენა ფლანგზე.

აქ, მარჯვენა ფლანგზე ჩაიჭრა ორი სარკმელი. ერთი გადაკეთდა კარად მეორე კი ვიტრინად. ბოლო მარჯვენა ღიობი სადაც ამჟამად კარია, სავარაუდოა, რომ I სართულის თავდაპირველი შესასვლელია ეს ცვლილებები არ შეესაბამება ნაგებობის არსებულ სტილისტიკას.

ფასადის მოწესრიგება და ღიობების მოდიფიცირება შესაძლებელი ჩანს. ოღონდ მნიშვნელოვანია, რომ მხატვრული სახე იყოს ადექვატური და დაუახლოვდეს ამ უბნის ღირებულ არქიტექტურულ სტილისტიკას.

სასურველია მოიხსნას ტეხილი ქვის ფილები და აღდგეს ცოკოლის თავდაპირველი სახე, ფასადის მარცხენა ფლანგის მსგავსად.

სასურველია ასევე მარჯვენა ფლანგის რუსტების ფერი იყოს მსგავსი მარცხენა ფლანგისა (აღსანიშნავია, რომ განსხვავებულად დაფერილი პირველი სართულის მონაკვეთები აქ ხშირად გვხვდება რასაც დისონანსი შეაქვს განაშენიანების ჰომოგენურ ქსოვილში).

სასურველია გამწოვი ხვრელების ცხაურები ოდნავ ღრმად „ჩაჯდეს“ კედელში და მათი ჩარჩო არ იყოს გამოშვერილი ფასადიდან.

სასურველია სარეკლამო აბრებმა არ გადაფაროს ფასადის დიდი სიბრტყეები და ლავგარდანის რელიეფური ფრიზები.

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი
05. 04. 2013